საჯარო გადაწყვეტილება

შინაარსი

- გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა უძრავი ნივთის მიწოდების დროს
- მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგების წესი
- სათამაშო ბიზნესის ნებართვები და მოსაკრებლები
- დაშლის პროცესში მყოფი პირის საგადასახადო ვალდებულებები
- მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის გათვალისწინებული გადაუხდელი მოსაკრებლის, ჯარიმისა და საურავის ჩამოწერის წესი

გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა უძრავი ნივთის მიწოდების დროს

2024 წლის 10 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილება N195, გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე, უძრავი ნივთის მიწოდებისას.

საჯარო გადაწყვეტილება განმარტავს გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის საკითხს, როდესაც ამ გარიგების ფარგლებში ხორციელდება უძრავი ნივთის მიწოდება. აღნიშნული საჯარო გადაწყვეტილების თანახმად:

- გარიგება, რომლის დროსაც, საქონლის/მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურება ხორციელდება ნაწილობრივ არაფულადი (საქონლის/მომსახურების) ან/და ნაწილობრივ ფულადი სახით, წარმოადგენს ბარტერულ ოპერაციას
- დღგ-ის მიზნისთვის, მხარეების მიერ ბარტერის საგნის (საქონლის/მომსახურების) ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახით
- გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში უძრავი ნივთის მიწოდების შემთხვევაში, ოპერაციის თითოეული მხარისთვის დღგ-ით დასაბეგრი თანხა განისაზღვრება მისაღები საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით, დღგ-ის გარეშე
- ბარტერული ოპერაციის მონაწილე პირი დღგ-ის ჩათვლას ახორციელებს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით
- 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ დადებულ ბარტერულ გარიგებებზე, თუ ანაზღაურება (ფულადი ან არაფულადი სახით) სრულად ან ნაწილობრივ მიღებულია საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, ანაზღაურების (როგორც, ფულადი, ისე არაფულადი) შესაბამისი დღგ-ის თანხის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ანაზღაურების საანგარიშო პერიოდში
- 2024 წლის 1 იანვრამდე დადებულ ბარტერულ გარიგებებზე, შესაბამისი ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა ხორციელდება საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტში. ამასთანავე, ბარტერული ოპერაციის ფარგლებში საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე მხოლოდ თანხის ნაწილობრივ ანაზღაურების შემთხვევაში, ანაზღაურებული თანხის შესაბამისი დღგ-ის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა თანხის ანაზღაურების საანგარიშო პერიოდში.

ცვლილება საჯარო გადაწყვეტილება ძალაშია 2024 წლის 11 ივნისიდან.

ცვლილება ბრძანებაში



მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგების წესი

2024 წლის 6 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N188, „მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგების წესის“ დამტკიცების თაობაზე. აღნიშნული წესი ამოქმედდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70[1] მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგებას და ამ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ანგარიშგების წესის განსაზღვრა დაევალა საქართველოს ფინანსთა მინისტრის.

აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშის საგადასახადო ორგანოში დეკლარირების ვალდებულებასთან დაკავშირებული პირობები, ასევე განისაზღვრა მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშის მომზადების წესი, საგადასახადო ორგანოსთვის სტატუსის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების პირობები, დეკლარირების დრო, აგრეთვე, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ ასეთი ანგარიშის გამოყენებისა და კონფიდენციალობის დაცვის ფარგლები.

ბრძანება ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან.

სათამაშო ბიზნესის ნებართვები და მოსაკრებლები

2024 წლის 11 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №198, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილების შედეგად განისაზღვრა ნებართვებისა და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების გაცემის პროცედურები, სანებართვო მოწმობის ფორმები და ასევე ნებართვის მფლობელი პირის რეორგანიზაციისას ნებართვის გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები.

განისაზღვრა, რომ სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზებისა და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვებს გასცემს შემოსავლების სამსახური. ასევე განისაზღვრა ის, რომ სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზების სანებართვო მოწმობების გაცემა მოხდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით.

აღნიშნული ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 12 ივნისიდან.

ასევე, მიმდინარე პერიოდში ამავე საკანონმდებლო ცვლილების ფარგლებში, 2024 წლის 14 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №193, რომლითაც ცვლილება შევიდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში.

© BDO

ცვლილების შედეგად განისაზღვრა მომსახურების საფასურები სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზებისა და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის გაცემისთვის.

დადგენილებით დამტკიცებული მომსახურების საფასურები და განაკვეთები ძალაშია 2024 წლის 15 ივნისიდან და მისი მოქმედება ვრცელდება 2024 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

დაშლის პროცესში მყოფი პირის საგადასახადო ვალდებულებები

2024 წლის 27 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №217, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად აღნიშნულ ბრძანებას დაემატა ახალი 7² მუხლი და განიმარტა დაშლის პროცესში მყოფი პირის საგადასახადო ვალდებულებები.

დაშლის პროცესში მყოფი პირი (დაშლილი საზოგადოება, რომელიც განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად) ვალდებულია, განახორციელოს:

- საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენა
- საკონტროლო-სალარო აპარატ(ებ)ის რეგისტრაციიდან მოხსნა
- ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტ(ებ)ის განაშთვა
- ფინანსურ ინსტიტუტ(ებ)ში ბოლო საბანკო/საგადახდო ანგარიშის დახურვა
- მატერიალური ფორმის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) განაშთვა
- მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების, მათ შორის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიწოდება/განაშთვა
- შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 28 ივნისიდან.

მთავრობის დადგენილება

მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის გათვალისწინებული გადაუხდელი მოსაკრებლის, ჯარიმისა და საურავის ჩამოწერის წესი

2024 წლის 17 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის დადგენილება N194, მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის გათვალისწინებული გადაუხდელი მოსაკრებლის, ჯარიმისა და საურავის ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც დამტკიცდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 145-ე ნაწილის საფუძველზე.

მოგეხსენებათ, სსკ-ის 309-ე გარდამავალი დებულებების მუხლის 144-ე ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად ჩამოწეროს იმ პირის მიერ გადასახდელი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმის მიზნით გამოყენებისთვის გათვალისწინებული მოსაკრებლის გადაუხდელი ოდენობა და მასთან დაკავშირებული გადაუხდელი ჯარიმა და საურავი, რომელსაც 2023 წლის 1 დეკემბრამდე შესაბამისი ლიცენზიით (სათანადო დამტკიცებული ათვისების გეგმით ან მის გარეშე) არ უსარგებლია, კერძოდ, მიწისქვეშა მტკნარი წყალი არ ჩამოუსხამს. ამ ნაწილის მოქმედება პირზე ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

© BDO

- შესაბამისი პირი 2023 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით აღარ ფლობს მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის გაცემულ ლიცენზიას
- შესაბამისი პირი 2024 წლის 1 აპრილამდე მიწისქვეშა მტკნარი წყლების ჩამოსხმისთვის ლიცენზიის გამცემ ორგანოს მიმართავს ამ ლიცენზიის გაუქმების შესახებ და 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2024 წლის 1 აპრილის ჩათვლით არ ისარგებლებს აღნიშნული ლიცენზიით, კერძოდ, არ ჩამოასხამს მიწისქვეშა მტკნარ წყალს.

დადგენილებით განისაზღვრა რა დოკუმენტაცია უნდა წარუდგინოს პირმა საგადასახადო ორგანოს იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული პირობების არსებობა დაადასტუროს.

დადგენილება ძალაშია 2024 წლის 18 ივნისიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება საჯარო გადაწყვეტილებას, ასევე ცვლილებას ბრძანებაში და მთავრობის დადგენილებას.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.